საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-988

ქ. თბილისი

17/10/2019

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ წარმოდგენილ ქალაქ მცხეთის გენერალურ გეგმაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 25-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გაიცეს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ წარმოდგენილ ქალაქ მცხეთის გენერალურ გეგმაზე სკოპინგის დასკვნა;
2. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა სგშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების
სკოპინგის დასკვნა

ძირითადი ინფორმაცია

სტრატეგიული დოკუმენტის სახელწოდება: ქ. მცხეთის გენერალური გეგმა;

დამგეგმავი ორგანო: სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადგილი: ქ. მცხეთა და მისი მოსაზღვრე ტერიტორიები;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 16.08.2019;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი".

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სამინისტროში წარმოდგენილია ქ. მცხეთის გენერალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის განცხადება და გენერალური გეგმის კონცეფცია.

აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი და სკოპინგის განცხადება, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად, განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ელ. ბმული https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/16865), მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოს საინფორმაციო დაფასა და ვებგვერდზე (იხ. ელ. ბმული http://mtskheta.gov.ge/ka/press-center/news/235) და სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებგვერდზე (იხ. ელ. ბმული http://mdf.org.ge/?site-lang=ka&site-path=documents/&id=447) .

წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტის მიზანია განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებითი და სივრცით-მოცულობითი მახასიათებლების განსაზღვრა. დოკუმენტი მიზნად ისახავს ინტეგრირებული ურბანული დაგეგმვისა და განვითარების დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს კერძო და საჯარო ინიციატივებს გარემოს დაცვის გაუმჯობესების კუთხით. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავს, როგორც დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის, ასევე ტურიზმისა და ტრანსპორტის სექტორს.

ქ. მცხეთის გენერალური გეგმის კონცეფციის თანახმად, აღნიშნული დოკუმენტი სამ ძირითად პრინციპს ეყრდნობა: **კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, სარგებლის მიღების შესაძლებლობა, გარემოს დაცვა და კონსერვაცია.**

სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ტერიტორიის არეალი არ შემოიფარგლება მხოლოდ ქ. მცხეთის საზღვრებით და მოიცავს მოსაზღვრე ტერიტორიებსაც.

მცხეთის „ისტორიული ძეგლები“ 1994 წლიდან იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი, შესაბამისად ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ფუნქციურ ასპექტებს და განსაკუთრებულ მიდგომებს. დოკუმენტაციაში ხაზგასმულია ქ. მცხეთის სტრატეგიული და ტურისტულ-ისტორიული პოტენციალი და ფუნქციის მნიშვნელობა.

დოკუმენტში განხილული გარემოსდაცვითი საკითხებიდან ყურადღება გამახვილებულია ჩამდინარე წყლების არსებული მდგომარეობის, ქალაქის სატრანსპორტო ნაკადების ზრდის, მწვანე საფარის შენარჩუნების, გეოსაფრთხეების განვითარების, ნარჩენების მართვასთან და რადიოაქტიურ ობიექტებთან დაკავშირებულ საკითხებზე. დასკვნის სახით ასევე აღნიშნულია, რომ ზემოაღნიშნული და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები შემდგომი კვლევის პროცესში იქნება გამოკვეთილი და თანმიმდევრულად განიხილება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში.

სკოპინგის განცხადებაში მიმოხილულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, ხმაურის გავრცელება, რადიოაქტიური ობიექტები, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხი, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები, საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკები და შესაბამისი ანალიზის შედეგად, დასკვნის სახით, მოცემულია ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც აისახება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში. ასევე ჩამოთვლილია საბაზისო კვლევების საჭიროება შემდეგ საკითხებზე: ბიომრავალფეროვნება (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები), ნიადაგი, წყალი, კლიმატური ფაქტორები, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა, ლანდშაფტი, მოსახლეობა, ადამიანის ჯანმრთელობა, გეოსაფრთხეები, აღნიშნული ფაქტორების ურთიერთქმედება. სგშ-ის ეტაპზე უნდა დადგინდეს გარემოსდაცვითი რისკები და განისაზღვროს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირების ღონისძიებები.

დოკუმენტში მიმოხილულია კულტურული მემკვიდრეობის საკითხი, ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით ასევე წარმოდგენილია კონკრეტული ადგილების განვითარების კონცეფცია.

სკოპინგის განცხადებაში მოცემულია SWOT ანალიზი. SWOT ანალიზი ეხება კულტურულ მემკვიდრეობას, ბუნებრივ რესურსებსა და გარემოს დაცვას. ამ ნაწილში განხილულია ის ძლიერი მხარეები, რომლითაც ქ. მცხეთა გამოირჩევა, მაგალითად, განსაკუთრებული უნივერსალური ფასეულობის მქონე ურბანული და ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტი, თბილისის ეროვნული პარკის მოსაზღვრე მდებარეობა, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა კულტურული და ბუნებრივი ფასეულობების შენარჩუნების მიმართ

(UNESCO), ამავდროულად, განხილულია სუსტი მხარეებიც, საკანალიზაციო სისტემის ხარვეზები, გრუნტის წყლისა და მდინარეების მნიშვნელოვანი დაბინძურება და ა.შ. საფრთხეებთან ერთად მითითებულია ის შესაძლებლობები, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული, კონკრეტულად, - ურბანული გარემოს დეგრადაციის დონის მართვა, ბუნებრივი ლანდშაფტების და ურბანული გარემოს აღდგენა, საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციის გეგმების შემუშავება, სტრატეგიული გეგმარებითი დოკუმენტების შემუშავებისას გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინება და ა.შ.

ქ. მცხეთის გენერალური გეგმის სგშ-ის სკოპინგის განცხადება განხილვის მიზნით გაეგზავნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს. მათი შენიშვნების ძირითადი ნაწილი აისახა ქ. მცხეთის გენერალური გეგმის სგშ-ის სკოპინგის დასკვნაში, ხოლო სრული შენიშვნები და მოსაზრებები დანართის სახით თან ახლავს სკოპინგის დასკვნას.

საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები სამინისტროში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სგშ-ს ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი

1. **სგშ-ს ანგარიში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 26-ე მუხლით დადგენილ ინფორმაციას;
2. **სგშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის განცხადებაში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია;
3. **სგშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სტრატეგიული დოკუმენტისთვის საკვანძო გარემოსდაცვითი საკითხები და სგშ-ის პროცესში შესწავლილი ზემოქმედებები სკოპინგის განცხადებაში მითითებული მეთოდების გამოყენებით, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე კლიმატის ცვლილების გავლენა და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. **სგშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** გენერალური გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების საანგარიშო პერიოდი, მათ შორის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართებით გათვალისწინებული იმ საქმიანობების, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში;
5. **სგშ-ს ანგარიშში უნდა შეფასდეს** გეგმის სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან კავშირი;
6. **სგშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** ინფორმაცია ერთიანი სარეკრეაციო სისტემის შექმნის თაობაზე, დაგეგმილი საფეხმავლო და ველობილიკების ქსელის მითითებით (მათ შორის რუკების სახით);

7. **სგშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია, (მათ შორის სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოსთან) თარიღების, განხილული საკითხებისა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში მიღებული შენიშვნების გათვალისწინების შესახებ.
8. **სგშ-ს ანგარიში უნდა მოიცავდეს** ინფორმაციას გენერალური გეგმით გათვალისწინებული ტერიტორიის გეოლოგიური პირობების შესახებ, სადაც მოცემული იქნება გეოლოგიური გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა, ასევე გეოლოგიური (მეწყერი, ღვარცოფი, ქვათაცვენა, ეროზია) და ჰიდროლოგიური (წყალდიდობა-წყალმოვარდნა) საფრთხეების ზონირების რუკები ტერიტორიის ფარგლებში. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე მრავალსაფრთხიანი (multihazards) რუკების მეშვეობით;
9. **სგშ ანგარიშში უნდა აისახოს** დაზუსტებული ინფორმაცია და შესაბამისი კვლევები დაგეგმილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით, მათ შორის მცხეთაში შესასვლელი საავტომობილო გზების, კარსნის ხევში საბაგიროსა და ჯვრის მონასტრის ძირში საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის „ს-1“-ის მონაკვეთზე სატრანსპორტო გვირაბის მოწყობასთან დაკავშირებით; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების შესაბამისად, აისახოს ზემოქმედების (მათ შორის ატმოსფერულ ჰაერზე) საკითხები;
10. **სგშ-ს ანგარიშში ცალკე თავი უნდა დაეთმოს** ალტერნატივების მიმოხილვას, სკოპინგის განცხადებაში მითითებული სტრატეგიული, გეგმარებითი და საქმიანობების ალტერნატივების (მათ შორის ნულოვანი ალტერნატივის) ანალიზს;
11. **სგშ-ს ანგარიში უნდა მოიცავდეს** მონიტორინგთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სადაც ასევე აისახება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.
12. **სგშ-ს ანგარიშს უნდა დაერთოს** სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადგილის shape ფაილები.

სგშ-ს ანგარიშის მომზადებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ინფორმაცია:

- გენერალური გეგმის პროექტსა (ტექსტობრივ და ვიზუალურ ნაწილში) და სგშ ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ტერიტორიის ნაწილი ემთხვევა „ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ (ბერნის) კონვენციის შესაბამისად შექმნილ „ზურმუხტის ქსელის“ დამტკიცებულ საიტს (საგურამო - GE0000047). შესაბამისად, დოკუმენტაციაში უნდა მიეთითოს, რომ დამტკიცებულ საიტზე საქმიანობის დაგეგმვის შემთხვევაში, საჭირო იქნება არსებულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე ზეგავლენის ე.წ. მიზანშეწონილობის შეფასება;
- სკოპინგის განცხადებით წარმოდგენილი მთლიანი 6608 ჰა ფართობიდან (shp-ფაილი), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 4388 ჰა ფართობი მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდში. კერძოდ, მცხეთის სატყეო უბნის ჯვრის, ძეგვისა და დიღმის სატყეოებში. აღნიშნული საკითხი უნდა აისახოს გენერალურ გეგმის პროექტსა (ტექსტობრივ და ვიზუალურ ნაწილში) და სგშ ანგარიშში და ასევე მიეთითოს, რომ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე საქმიანობა საჭიროებს შეთანხმებას ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან;

- გასათვალისწინებელია „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილებით დამტკიცებული „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები. სგშ-ის ანგარიშში საჭიროა განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული და გამავალი ზედაპირული წყლის ობიექტების (მცირე და დიდი მდინარეების, ტბების) წყალდაცვითი ზოლები, ასევე ამ ზოლების ფარგლებში მოქმედი აკრძალვებისა და სპეციალური მოთხოვნების დაცვის საშუალებები;
- სგშ-ის ანგარიშის მომზადების დროს საჭიროა განახლდეს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების ინდიკატორული გაზომვების მონაცემები 2019 წლის მეორე ეტაპის მონიტორინგის საფუძველზე და შედეგები წლების მიხედვით წარმოდგენილ იქნეს კონკრეტული კონცენტრაციების მითითებით;
- საქართველოს მთავრობის დადგენილებით №160 (01.04.2016) დამტკიცებული იქნა „ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია“ (2016-2030 წწ) და „ეროვნული სამოქმედო გეგმა“ (2016-2020 წწ), რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში ნარჩენების მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სგშ-ს ანგარიშში, წარმოდგენილი იქნას საკითხების ზემოაღნიშნული დოკუმენტებით განსაზღვრული მიზნების, ამოცანებისა და ღონისძიებების შესაბამისად, ასევე დოკუმენტში აისახოს „მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმით“ გათვალისწინებული საკითხები.
- სგშ-ს ანგარიშში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების საკითხი, მათ შორის მცხეთის რესტორნებისა და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების, ავტოსამრეცხაოებისა და ბენზინგასამართი სადგურების;
- სგშ ანგარიშში აისახოს ინფორმაცია მიწისქვეშა გრუნტის წყლების საკითხის თაობაზე, რომელიც რეცხავს სვეტიცხოვლის საძირკველს და ასევე საფრთხეს უქმნის მის გარშემო არსებულ ნაგებობებსაც, ასევე ძლიერი ქარის საკითხი, განსაკუთრებით ჯვრის არეალში, რომელიც სისტემატიურად შლის სამშენებლო მასალას, რის შედეგადაც, ჯვრის საკონსერვაციო მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება;
- სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდმა „მცხეთის ისტორიული ძეგლების“ – „დიდი მცხეთის“ ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის“

ნომინაციაში გადაყვანის წინადადების" საკითხზე კონსულტაცია გაიაროს სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან და ასახოს კონსულტაციის შედეგები სგშ ანგარიშში.

- დოკუმენტში აღნიშნული „შეუსაბამო ნაგებობის" სტატუსის განმარტება განისაზღვროს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. ამავდროულად, უნდა განისაზღვროს დროთა განმავლობაში მათი ზემოქმედების შერბილების ან შესაძლებლობის შემთხვევაში, სრული ნიველირების წინადადებები;
- გასათვალისწინებელია, რომ 2017 წლიდან მსოფლიო მემკვიდრეობის №41-სესიის გადაწყვეტილებით, მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ბუფერული არეალი საგრძნობლად გაიზარდა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო როგორც ამ არქიტექტურული ძეგლების, ასევე მისი მაფორმირებელი ლანდშაფტის მთლიანობის დაცულობა. ასევე, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ (2017 წლის მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის №41-ე სესიაზე დამტკიცებულ გადაწყვეტილებას №41 COM 8B) მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ერთიანი ბუფერული ზონის დამტკიცებას წინ უსწრებდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივნისის №03/212 ბრძანება „მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლების: ჯვრის მონასტრის, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრისა და სამთავროს მონასტრის ინდივიდუალური დამცავი ზონის გაფართოებისა და მათი ერთიანი ვიზუალური დაცვის არეალის დამტკიცების შესახებ, რამაც ეროვნულ დონეზე უზრუნველყო ძეგლებისა და მისი ვიზუალური არეალის შესაბამისი დაცულობა;
- სკოპინგის ანგარიშში გაანალიზებული კონცეფციის ქალაქმაფორმირებელ ერთ-ერთ ამოცანად წარმოდგენილია ჯვარის მონასტრის ძირში, საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის „ს-1"-ის მონაკვეთზე, სატრანსპორტო გვირაბის მოწყობა და ლანდშაფტის გამთლიანება. ლანდშაფტის გამთლიანებამდე, რაც ასევე კონცეფციის განვითარების ერთ-ერთ საპროექტო წინადადებას წარმოადგენს, სიღრმისეულად უნდა იყოს შესწავლილი, თუ რა ტექტონიკურ-გეოლოგიური ძვრები შეიძლება გამოიწვიოს ჯვრის მთის ქვეშ გვირაბის გაჭრამ, რამაც შესაძლოა შეუქცევადი ნეგატიური ზემოქმედება იქონიოს მცხეთის ჯვრის მთლიანობაზე;
- სგშ ანგარიშში სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის არსებული დოკუმენტაციისა და დარგობრივი პროექტების/პროგრამების, სხვა საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალთან ერთად, გასათვალისწინებელია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივნისის №03/212 ბრძანება „მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლების: ჯვრის მონასტრის, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრისა და სამთავროს მონასტრის ინდივიდუალური დამცავი ზონის გაფართოებისა და მათი ერთიანი ვიზუალური დაცვის არეალის დამტკიცების შესახებ";
- კონცეფციაში შემოთავაზებული წინადადებები „ქ. მცხეთისა და მისი შემოგარენის („დიდი მცხეთის") სივრცითი გარემოს საკრალურ-სემანტიკური

სისტემისთვის ეროვნული მნიშვნელობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებისა“ და ტოპონიმებისთვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებასთან (ურბანონიმებისა და ჰიდრონიმების ჩათვლით) დაკავშირებით დამატებით დამუშავებას საჭიროებს არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის კონვენციასთან მიმართებაში;

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სამინისტროში სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ წარმოდგენილი ქ. მცხეთის გენერალური გეგმისთვის **სავალდებულოა სგშ-ს ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის შესაბამისად.